პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 132 (13217) | კვირა, 6 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დაფინანსებულნი

ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის ელექტრო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ხუთი თვის საწარმოო დავალება.

ელექტრომანქანების საამქროს კოლექტივმა მაისის გეგმა 102,2 პროცენტით გაანაღდა და 12.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

საამქროს კოლექტივმა ახალი ენერგიით გააჩაღა ბრძოლა, რომ უფრო გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, მეტი მაღალხარისხოვანი მანქანები მიაწოდოს ჩვენს მრეწველობას.

• • •

სურათზე: ქარხნის ელექტრომანქანების საამქროს ამწყობი ზეიმალები ჯ. დოლბაძე და მ. ჯიშკარიანი (მარჯვნივ) ამონტაჟებენ საკომპრესორო ელექტროძრავებს.

ფოტო ხ. კილაძისა.

მეგობრობის გაზაფხული

ლენი ილიას წერდა: „სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა... სიმდერა, გალობა სხვა არის-რა, გარდა ბედნიერად შექმნილი ერის ბოეზიისა და მუსიკისა. სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა მშვენის წყობილ-სიტყვობას და წყობილ-სიტყვობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოთქვას თავისი სულის მოძრაობა და თავისი გულის ძარღვის ცემა“.

ადამიანის სულის ეს ფაქიზი მოძრაობა და გულის ძარღვის ცემა საყოველთაოა, ყველა ერის თანაბრად დამაკმაყობელი. იგი ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა სიახლოვეს, საერთო მიზნისათვის შრომისა და ბრძოლის. ხალხთა მეგობრობის დიდი შოგონებაა.

საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობა კი, რომელმაც მრავალი ისტორიული ქარცეცხლი გამოიარა, სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველია საფუძველი, მისი ძალიერებისა და ძლევამოსილი წინსვლის უშრეტი წყაროა.

სოციალისტურ ერთა შორის ეს ძმური, კოლწრფელი სიყვარული. ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას რომ უდევს საფუძვლად, ყველაზე ძვირფასი ისტორიული მონაპოვარია.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა თავის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას სოციალისტურ კულტურათა ურთიერთკავშირში ულებულს. ჩვენი მოძმე ერების კულტურული თანამეგობრობა, რომელიც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით განვითარდა და განმტკიცდა, ხელს უწყობს საბჭოთა კულტურის მძლავრ აღმავლობას.

ხალხთა მეგობრობა ის დაუშრეტელი წყაროთვალია, რომელიც ასაზრდოვებს, მძლავრ სტიმულს აძლევს ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვებას. ეს გამარჯვება კი ყველგან იგრძნობა — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურასა და მეცნიერებაში.

სწორედ ამ გამარჯვებას, ამ მეგობრობას უმღერიან „ამერიკაკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ მონაწილენი — საბჭოთა ხელოვნების ნიჭიერი და ხალოვანი წარმომადგენლები.

ამ ბოლო ხანს ამერიკაკავკასიის ხალხთა შორის შესანიშნავ ტრადიციად იქცა ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ხელოვნების ოსტატთა გაცვლითი კონცერტები. სამი მოძმე რესპუბლიკის ხელოვანთა შემოქმედებითი ურთიერთობის შესანიშნავ ფორმად დამკვიდრდა ფესტივალი — „ამერიკაკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“, რომელიც პირველად 1958 წელს გაიმართა. პირველ ივნისს ბაქოში გაიხსნა მუსიკალური გაზაფხულის მეორე ფესტივალის ბაქოს ეტაპი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. აღსანიშნავია, რომ ამ ფესტივალის მნიშვნელობა გასცდა ამერიკაკავკასიის ფარგლებს და საკავშირო ხასიათი მიიღო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფესტივალზე ჩამოვიდნენ სტუმრები თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. ფესტივალს ესწრებიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსებიც.

ამერიკაკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის მეორე ფესტივალზე ხელოვნების ოსტატები მოვიდნენ არა მარტო შთამაგონებელი მუსიკით, შესრულების მაღალოსტატური ხელოვნებით, არამედ თან მოიტანეს კიდევ უფრო დიდ და მნიშვნელოვანი რამ — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისადმი ამერიკაკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის წრფელი გრძნობები. სწორედ ეს არის მუსიკალური გაზაფხულის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

როდესაც ბაქოში, თბილისსა თუ ერევანში ოპერისა თუ სხვა თეატრებში გაისმის ფესტივალის მონაწილეთა აზერბაიჯანული, ქართული თუ სომხური სიმღერები და მათ აღფრთოვანებით იმღერენ ყველა მოძმე რესპუბლიკის ადამიანი, ეს ჩვენი დიდი საბჭოთა ოჯახის ერთიანობის, ყველა ერის ძმობის საუკეთესო გამოხატულებაა.

„დაე წლევანდელი „გაზაფხული“, ჩვენი სამშობლოს ხალხთა შემოქმედების კულტურათა ურთიერთგამდიდრების, მეგობრობისა და ძმობის ახალი აყვავების გაზაფხული გახდეს,“ — ნათქვამია დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერენ რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ა. პოპოვი და რუსეთის ფედერაციის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი. მეგობრების ამ გულწრფელ სტრიქონებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყველაზე ძვირფასი ამ მუსიკალური ზეიმისა არის ხალხთა შემოქმედებითი სიახლოვე და ურთიერთობა, მოძმე რესპუბლიკების ოსტატთა ურთიერთ სიყვარული და ღრმა პატივისცემა.

მეგობრობის ჰანგებმა ბაქოდან თბილისში გადმოინაცვლა. ხვალ ჩვენს ქალაქში საზეიმოდ გაიხსნება ფესტივალის მეორე ეტაპი. ქართველი მუსიკალური საზოგადოებრობა, მშრომელები, კულტურული ინტელიგენცია როგორც დიდ დღესასწაულს, ისე ელოდებიან ძმობის ამ შესანიშნავ ზეიმს. თბილისში ჩამოვიდნენ ძვირფასი სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთიდან.

ექვი არ არის, რომ ქართველი კომპოზიტორები კვლავ მოხიბლავენ მსმენელებს თავიანთი შთამაგონებელი მუსიკით. ხოლო შემსრულებლები — თავიანთი მაღალიდეური და მაღალოსტატური ხელოვნებით.

ფესტივალზე ფართოდ გაიშლება შემოქმედებითი დისკუსია და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ცხადია, რომ მოპოვებულ მიღწევათა მაღალ შეფასებასთან ერთად მუსიკაზე საკმაოენი სკა-ბაასის დროს გამოვლინდება ჯერ კიდევ არსებული ნაკლი და დაისახება მისი გამოსწორების გზები. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მუსიკალური ხელოვნების შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას.

ფესტივალის კონცერტები გადაიქცევა ჩვენი საბჭოთა მუსიკალური კულტურის დიდ დღესასწაულად, ამერიკაკავკასიის ხალხთა მეგობრობის ზეიმად.

დაე სულ უფრო მძლავრად ეჯერდნენ წმიდათაწმიდა გრძნობებს ჰანგები, და მოგვიწოდონ მეგობრობისა და ძმობისათვის, ახალი შრომითი გამარჯვებისათვის!

დავალება განაღდებულია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათამშენებელი მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ხუთი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მათ შორის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს თბილისის ორჯონიკიძისა, 26 კომისრის სახელობის მანქანათამშენებლო ქარხნებმა და სხვა საწარმოებმა.

ოროვითი პაუსკეტი

რუსთავი. (საკ. კორ.). აქ შეაჯამეს მეტალურგიული ქარხნის საამქროთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ყველაზე ადრე მაისის საწარმოო გეგმების 103 და 105 პროცენტით შესრულება უპატაკეს კოქსქიმიერი, მილების ლითონით დაფარვის, რკინიგზის და სხვა საამქროების კოლექტივებმა.

საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებასთან ერთად აღნიშნულმა კოლექტივებმა დიდი გადაჭარბებით შესასრულეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები.

ახალი სამეურნეო წელი თავიდანვე კარგად დაიწყო თბილისის მე-4 მექანიკური ქარხნის კოლექტივმა. აქ ხუთი თვის საგეგმო დავალება შესრულებულია დიდი გადაჭარბებით. გამოშვებულია 31 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია. ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. მომხმარებელმა დამატებით მიიღო 210 ათასი ცალი ელექტროდენის გამამტოებელი ყუთები და ფართო მოხმარების პროდუქცია.

ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ხუთი თვის გეგმის გადამეტებით ათობით ათასი მანეთის საერთო ღირებულების პროდუქცია გამოუშვა.

თბილისის პირველ მექანიკურ ქარხანაში სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის. მიღწეულია პირველი წარმატება. განვლილი ხუთი თვის მანძილზე ქარხნის ანგარიშზე უკვე ირიცხება 24 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის, ხუთი თვის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით ათობით სატვირთო მანქანა, დიდძალი სათადარიგო ნაწილები გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წელს პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა 21 პროცენტით.

ქუთაისელი ავტომშენებლები ივნისშიც კარგად მუშაობენ.

ვ ა დ ა მ დ ე, გადაჭარგეგით

ყვარლის რაიონს 1965 წლის პირველ ივლისამდე სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 4.830 ცენტნერი რძე.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიხედვით აღნიშნული დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე 135,8 პროცენტით შეასრულეს.

წიფელწყაროს რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 35.150 ცენტნერი რძე ნაცვლად ნახევარი წლით გეგმით გათვალისწინებული 30.500 ცენტნერისა.

ბიათურელებმა ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 3.500 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.515 ცენტნერი რძე. ხოლო **ტყიბულელებმა** 4.041 ცენტნერი რძე და ამით სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა 118,2 პროცენტით გაანაღდეს.

სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაწლის შედეგად **აბაშის** რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.391 ცენტნერი რძე და ამით მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა 122,4 პროცენტით შეასრულეს.

სარხერელმა მშრომელებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.070 ცენტნერისა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 5.297 ცენტნერი რძე.

გაჩაღდა ნათესების დამუშავება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა საგაზაფხულო კულტურების ნათესების დამუშავება. მთელ რიგ რაიონებში წარმატებით მიმდინარეობს ხიმინდის პირველი თოხნა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, 1 ივნისისათვის რესპუბლიკაში სულ გათოხნილი იყო 33.241 ჰექტარი სიმინდი.

წითელწყაროს რაიონში გათოხნეს 5.142 ჰექტარი სიმინდი, **ხიდნელის** — 3.048 ჰექტარი, **საგარეჯოს** — 1.713 ჰექტარი, **გარდაბნის** — 1.679 ჰექტარი, **ბოლნისის** — 1.654 ჰექტარი, **ქარელის** — 1.644 ჰექტარი. თოხნის ტემპი ძლიერდება **ახმეტის, გორის, მარნეულის, წყალტუბოს** და სხვა რაიონებში.

მზესუმზირას პირველი კულტივაცია-თოხნა დასასრულს უახლოვდება. 20.503 ჰექტარი ნათესიდან დამუშავებულია 18.000 ჰექტარზე მეტი. ამ საქმეში დაწინაურდნენ **ხიდნელის, საგარეჯოს, გურჯაანის, წითელწყაროს** რაიონების კოლმეურნეობები. ჩქარტემპით მიმდინარეობს **შაქრის ჭარხლის** ნათესების და თამბაქოს ნარგავების დამუშავება.

დროულად, აგროტექნიკურ ვადებში დავამთავროთ ნათესების დამუშავება, უზრუნველყოთ ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღება — ასეთია სოფლის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანა.



ი. ვ. კოსიგინმა მიიღო სტამბოლის მუნიციპალიტეტის დელეგაცია

6 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო სტამბოლის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ჰაშმი იშჯანის მეთაურობით და მეგობრულად ესაუბრა დელეგაციის წევრებს. ეს დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. პესლიაკი და ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პოპოვი. (საკდესი).

ე. გერჰარდსენი უზბეკეთში

სამარყანდი. 4 ივნისი (საკდესი). ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ეინარ გერჰარდსენი ეწვია ბუხარეთს. საპატიო სტუმარმა დღეს ითვალიერა სამარყანდში, დაათვალიერა ისტორიული ძეგლები, რომლებიც ასახავენ უზბეკი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის სიმდიდრეს, ეწვია ახალი სამინათ მშენებლობის უბნებს.

ეინარ გერჰარდსენმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ქალაქის ხელისუფლებს სტუმართმოყვარეობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ განვითარდება და განმტკიცდება ნორვეგიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა, ეს კი ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს.

იმავე დღეს ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ტაშკენტს დაბრუნდა.

სამხედრო ხომალდების ვიზიტების გაცვლა

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ბალტიის ორგზის წითელდროშოვანი ფლოტის ხომალდების რაზმი 28 ივნისიდან 1 ივლისამდე მეგობრულ ვიზიტად ჩავა სტოკჰოლმს.

შვეციის სამხედრო ხომალდების რაზმი სპასუხო მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა ტალინში 13 აგვისტოდან 16 აგვისტომდე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

5 ივნისს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები:

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობისა და მეორე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. გ. ანდრონიკაშვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ს. ხაბეიშვილი.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. გ. გაბუნია. (საქდესი).

მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე რევოლუციონერი

ი. მ. სვერდლოვის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა

ლენინური გვარდიის უდრეკ მებრძოლთა შორის ი. მ. სვერდლოვს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მთელი მისი ცხოვრება რევოლუციური საქმისადმი უანგარო ერთგულების მაგალითია.

„ყველასათვის, ვისაც უხდებოდა, როგორც მიხდებოდა მე, დიდთიდღე მუშაობა ამბ. სვერდლოვთან, მათთვის განსაკუთრებით ცხადი იყო, რომ მხოლოდ ამ ადამიანის განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი უზრუნველგალყოფდა ჩვენ ამთან, რითაც ჩვენ დღემდე ვამაყობდით და ვამაყობთ სრული უფლებით“, —ასე ამბობდა ვ. ი. ლენინი 1919 წლის 18 მარტს — სვერდლოვის დასაფლავების დღეს — იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ სრულიად რუსეთის ცაკ-ის საგანგებო სხდომაზე.

4 ივნისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის რეკონოლეციის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი-მოღვაწის ი. მ. სვერდლოვის დაბადების 80 წლისთავს. ი. მ. სვერდლოვს ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოკტორმა ლ. ა. სლუპოვმა. შემდეგ დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს ლენინური პარტიის ვეტერანებმა, აგრეთვე ი. მ. სვერდლოვის ქალიშვილმა ვერა იაკობის ასულმა და ი. მ. სვერდლოვის ძმამ გერმანე მიხეილის ძემ.

მოსკოვის სტუმრები

მოსკოვი, 4 ივნისი. (საკდესი). ღღეს მოსკოვს ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლეთ ხან ნგი.

ლენინგრადის ჩარხსაშენებელი ფირმის საწარმოებს, რომელიც ი. მ. სვერდლოვის სახელს ატარებს, 4 ივნისს ეწვია პარტიის ათობით ვეტერანი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდათ ემუშავნათ ან შეხვედროდნენ დიდი ლენინის ერთგულ თანამებრძოლს. ვეტერანებმა მოგონებანი გაუზიარეს საამქროების მუშებს.

(საკდესი).

დაბრუნდნენ მოძმე მონღოლეთიდან

მოსკოვი, 3 ივნისი. (საკდესი). ღღეს მოძმე მონღოლეთში მოგზაურობადან დაბრუნდნენ კომსომოლის მფრინავები — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირი ვ. ნიკოლაევი-ტერეშკოვა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი ა. ნიკოლაევი.

შერემეტიევოს აეროპორტში საზეიმოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ და ა. ნიკოლაევმა კორესპონდენტებს გაუზიარეს მონღოლ ხალხთან შეხვედრის შთაბეჭდილებანი. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ შეხვედრებს ყველგან გულთბილი, გულითადი ხასიათი ჰქონდა. კოსმონავტებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მაღალი ჯილდოებისათვის და განაცხადეს, რომ ეს ჯილდოები მათ მიიჩნიეთ იმ შესანიშნავი წარმატებების აღიარებად, რომლებსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია კოსმოსის ათვისებაში.

კოსმონავტებმა ჩვენი ხამშობლოს მშრომელებს გადასცეს მონღოლი ხალხის მხურვალე ძმური სალამი.

ამერიკელ ინჟინრებს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანში ჩამოვიდა ამერიკელ ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფი, ამერიკის ეკონომიკურ ეფექტიანობის ინსტიტუტის ინიციატივით. ამ ინსტიტუტის ინიციატორებმა ინჟინერ-ტექნიკოსებს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ინფორმაციის ასაღებად ეს ინსტიტუტი ეგზავნა ბაკურიანში. ინჟინერ-ტექნიკოსებმა

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ!

ᲰᲐᲜᲝᲘ, 4 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი გვაცნობებს: მებრძოლი ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის მეორე საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენცია შუშაობას განაგრძობს. დღეს საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა კ. ა. ᲞᲣᲡᲘᲔᲜᲝᲕᲐ. კონფერენციის მონაწილეთა ტაშის გრიალში იგი საბჭოთა კავშირის 70 მილიონი მუშისა და მოსამსახურის, მთელი საბჭოთა მშრომელების სახელით გულითადად. ძმურად მიესალმა გმირ ვიეტნამელ ხალხს.

საბჭოთა ხალხი, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, მტკიცედ უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმეს. საბჭოთა მთავრობამ გაუწია და კვლავაც გაუწევს ქმედით დახმარებას მომძე სოციალისტური ქვეყნის — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების უზრუნველყოფას. ეს დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება, თუ საჭირო გახდა. სხრ კავშირის მტკიცე პოზიციას საფუძვლად უდევს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები, მშვიდობისა და ყველა ხალხის სუვერენულ უფლებათა დაცვის პოლიტიკა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ თანაშემდევრული ბრძოლის მტკიცე მხარდაჭერის პოლიტიკა.

საბჭოთა ადამიანების სოლიდარობა და ძმობა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი, აღნიშნა კ. ა. ᲞᲣᲡᲘᲔᲜᲝᲕᲐ, მუდამ და მრავალმხრივ ვლინდება ხოლმე. საბჭოთა საწარმოებში ფართოდდება შეჯიბრება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის განკუთვნილი მანქანებისა და მოწყობილობის სწრაფად დასამზადებლად. მთელ საბჭოეთში ეწყობა მასობრივი მიტინგები, რომლებზეც მშრომელები სამარცხვინო ბომბზე აკრავენ ამერიკელ აგრესორებს და მტკიცედ აცხადებენ, რომ მზად არიან საჭირო დახმარება გაუწიონ მოძმე ვიეტნამელ ხალხს. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელით საკავშირო პროფსაბჭომ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მშრომელებსა და პროფკავშირებს მოუწოდა კიდევ უფრო გააძლიერონ ვიეტნამელი ხალხისადმი საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობა, უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი ვიეტნამელ ხალხს ამერიკის მხედრიონის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ‘ბრძოლაში.

თავისი სიტყვის დასასრულს ᲞᲣᲡᲘᲔᲜᲝᲕᲐ ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით გამოთქვა ურაყეი რწმენა, რომ ვიეტნამელი ხალხის მართალი საქმე გაიმარჯვებს. საბჭოთა დელეგაციამ ვიეტნამელ ძმებს მიართვა დროშა, რომელზეც ამოქარგულია ლენინის პორტრეტი და სიტყვები საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურღვევი მეგობრობის შესახებ.

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲡᲯᲐᲗ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილეს სამხედრო ბაზაში — ბიენ ჰოაში (სამხრეთ ვიეტნამი) დღეს ჩვეიდა ავსტრალიის ჯარების მეორე ჯგუფი 110 კაცის რაოდენობით. ამაა იტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲰᲐᲜᲝᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ წერილი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგაზეთო იუწყება, წერილი შეიცავს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ 3 ივნისს ამერიკისა და საიგონის ავიაციამ დაბომბა დასახლებული პუნქტები გზატკეცილების გასწვრივ ჰა-ტინის, თანჰოის პროვინციებში და სხვა რაიონებში.

ᲛᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲜᲓᲘᲡᲨᲘ

ᲧᲐᲠᲐᲩᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს ᲙᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ დედაქალაქ რავალპინდიში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირისა და ᲙᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ისლამური რესპუბლიკის კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირმა, რომელშიც დაახლოებით მილიონნახევარი წევრია, კვლავ გაალაშქრა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ხელფასისა და შემოსავლის დარგში ახორციელებს და მიზნად ისახავს ხელფასის მომატების შეზღუდვას.

პროფკავშირის აღმასრულებელი კომიტეტის ლონდონის სხდომაზე გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებელმა ჰარი ნიკოლსმა განაცხადა, რომ პროფკავშირი „მტკიცედ იბრძოლებს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადების ჩვეულებრივ პრაქტიკაში ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ და „ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ დააყოვნონ უკვე მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელება.

ეს განცხადება ნიშნავს, რომ ინგლისის ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა პროფკავშირმა სერიოზულად გაიფრთხილა მთავრობა. მიმომხილველთა აზრით, განცხადება მოწმობს, რომ პროფკავშირები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ხელფასის გაყინვის პოლიტიკას.

„ᲮᲔᲛᲘᲜᲐᲚᲘ-4“-ᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲘ იტყობინება: მეორე დღეა ფრენას განაგრძობს ამერიკის კოსმოსური ხომალდი „ჯემინაი-4“. დღეს 19 საათისა და 37 წუთისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა 16-ჯერ შემოუარა დედამიწას.

ქალაქ ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡ (ტეხასის შტატი) საკონტროლო პუნქტიდან და კვენედის კონცხიდან მიღებული ცნობების თანახმად, ფრენა ძირითადად نორმალურად მიმდინარეობს, კოსმონავტები მაკდივიტი და უაიტი თავს კარგად გრძნობენ, კავშირი მათთან, თუმცა დროდადრო მტკიცე არ იყო, დამაკმაყოფილებლად ითვლება. მაკდივიტსა და უაიტს რიგიგიზით ეძინათ, თითოეულს რვა საათს. განვლილ ღამეს ხელსაწყობებმა აჩვენეს, რომ გადიდებული წნევა აქვს კოსმონავტ უაიტს. ᲰᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡ საკონტროლო პუნქტის ექიმები ფიქრობენ, რომ ეს გამოწვეულია საერთო ‚ᲛᲔᲚᲝᲕᲐᲠᲑᲘᲗ კოსმოსში გასვლის შემდეგ.

ᲔᲓᲒᲐᲠᲓ ᲣᲐᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲛᲐᲙᲓᲘᲕᲘᲢᲘ.

დღეს დილიდანვე ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡ საკონტროლო პუნქტიდან კოსმონავტებს გადაეცათ განკარგულება გააუქმონ პროგრამით დაგეგმილი რამდენიმე ექსპერიმენტი ორბიტის პარამეტრების შეცვლისა. ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ გუშინ რაკეტის მეორე საფეხურთან მიახლოების ცდის დროს კოსმონავტებმა გადახარჯეს ხომალდის საწვავის მარაგი. მაგრამ ფრენის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ხომალდში დარჩენილი საწვავი საკმესებით საკმარისია, რათა განხორციელდეს ხომალდის დედამიწაზე დაბრუნებასთან დაკავშირებული საჭირო მანევრები. გაუქმდა აგრეთვე რამდენიმე მეცნიერული ცდის მოწყობა. პროგრამის ასეთი შეცვლის პიზეზი ახსნილი არ არის. ფრენის პროგრამის მორიგე დირექტორმა ჯონ ᲙᲝᲑᲑᲡᲛᲐ 4 ივნისს განაცხადა, რომ გუშინ, როცა უაიტი კოსმოსიდან კაბინაში დაბრუნდა, შეიქმნა მოულოდნელი სიძნელეები — კოსმონავტები ეწვალენ რამდენიმე წუთს, რომ ჩაეკეტათ ლუკი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი საკეტი ჩაჭედილიყო.

განვლილ დღე-ღამეში კოსმონავტებმა ორჯერ ᲰᲐᲛᲔᲡ საკმელი და დალიეს ერთნახევარი პინტა წყალი თითოეულმა.

ორბიტის პარამეტრებია: აპოგეა — 179 მილი, პერიგეა — 101 მილი, როგორც საკონტროლო პუნქტის ექსპერტები აღნიშნავენ, ეს სიმაღლე საკმაოდ საშიშია, რომ კოსმონავტები ოთხ დღეს იყვნენ ორბიტაზე.

ᲤᲣᲚᲑᲠᲐᲘᲢᲘ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატში დაიწყო განხილვა კანონპროექტისა უცხო სახელმწიფოებისათვის ამერიკის დახმარების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოსთხოვა კონგრესს 3,35 მილიარდი დოლარი 1966-1967 სფინანსო წლისათვის, რათა სახეზედრო და ეკონომიური დახმარება გაეწიოს უცხო სახელმწიფოებს.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ფულბრაიტმა (დემოკრატი, არკანზასის შტატი), გუშინ, როცა გახსნა კამათი კანონპროექტის გამო, განაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოებისათვის ამერიკის დახმარების გაწევის პროგრამა „ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲠᲝᲡᲣᲚᲘ“.

ამასთან ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ „სენატი თავისუფლდება ილუზიებისგან ამერიკის დახმარების ახლანდელი პროგრამის გამო“. ფულბრაიტმა შეიტანა კანონპროექტის შესწორება, მაგრამ მიუხედავად ამისა მოუწოდა თავის კოლეგებს მიიღონ მთავრობის კანონპროექტი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). ისლანდიის სანაპიროსთან დღეს აღმოაჩინეს ახალი ვულკანური კუნძული, რომელიც წარმოიქმნა ვულკანის ამოფრქვევის შედეგად. ამას იტყობინება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი რეკიავიკიდან. ეს კუნძული მდებარეობს სიუოტსეის კუნძულის ახლოს, რომელიც ასევე ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოიშვა 18 თვის წინათ.

ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ 6.262 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲐᲡ. ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲠᲐᲜᲪᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲐᲜᲐᲠᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲐᲣᲠᲩᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირმა, რომელშიც დაახლოებით მილიონნახევარი წევრია, ᲙᲕᲚᲐᲕ გაალაშქრა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ხელფასისა და შემოსავლის დარგში ახორციელებს და მიზნად ისახავს ხელფასის მომატების შეზღუდვას.

პროფკავშირის აღმასრულებელი კომიტეტის ლონდონის სხდომაზე გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებელმა ჰარი ნიკოლსმა განაცხადა, რომ პროფკავშირი „მტკიცედ იბრძოლებს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადების ჩვეულებრივ პრაქტიკაში ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ და „ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ დააყოვნონ უკვე მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელება.

ეს განცხადება ნიშნავს, რომ ინგლისის ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა პროფკავშირმა სერიოზულად გააფრთხილა მთავრობა. მიმომხილველთა აზრით, განცხადება მოწმობს, რომ პროფკავშირები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ხელფასის გაყინვის პოლიტიკას.

ᲓᲠᲝᲘᲗ ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲐ

ᲙᲐᲠᲐᲩᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, სკკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კოიმიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა მოსკოვში გამგზავრების წინ სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის რადიოთი. დელეგაცია ეესწრებოდა ინდონეზიის კომპარტიის შექმნის 45 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს.

საბჭოთა ხალხი, თქვა შ. რ. რაშიდოვმა, ყოველთვის მხარს უჭერდა ინდონეზიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ინდონეზიის ხალხის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას და მის მეცადინეობას ნეოკოლონიალიზმის აღმოსაფხვრელად, ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისა და ახალი აყვავებული ინდონეზიის აშენებისათვის.

ინდონეზიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა, თქვა შემდეგ შ. რ. რაშიდოვმა, დროთი არაა ნაცადი. მან გაუძლო ამ ვამცდას. ეს არის თანამებრძოლთა მეგობრობა.

დასასრულ შ. რ. რაშიდოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ინდონეზიის კომპარტიის ხელმძღვანელობას, ყველა ინდონეზიელ კომუნისტსა და მშრომელს გულთბილი მასპინძლობისათვის.

ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲔᲞᲐᲚᲘᲡ მთავრობის მიწვევით კატმანდუში იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილია ოქმი სსრ კავშირსა და ნეპალს შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის შესახებ. გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-ნეპალის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება განათლების, მეცნიერების ხელოვნების სფეროსა და სხვა დარგებში.

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲤᲘᲗᲠᲓᲜᲔᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ლიდერებს მოუმზადონ იმისათვის, რომ სამასი ათასი ამერიკელი ჯარისკაცი გაგზავნება ვიეტნამში. როგორც საგაზეთო სიხდიკატის „სკრიპს-ᲰᲝᲣᲠᲐᲠᲓᲘᲡ“ მიმომხილველი რიჩარდ სტარნინი წერს, მაკნამარამ ეს განცხადება გააკეთა ამას წინათ თეთრ სახლში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე.

იუწყება რა „საიმედო წყაროებიდან“ მიღებულ ამ ფაქტს, მიმომხილველი დღეს გაზეთ „ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲓᲘᲐᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ წერა: სენატორებმა ეს გაფრთხილება რომ მოისმინეს, „შიშისაგან გაფითრდნენო“.

მაკნამარას შემდეგ გამოსულმა პრეზიდენტმა ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲛᲐ სენატორებს შეახსენა კონგრესის რეზოლუცია, რომელიც კონგრესმა შარშან აგვისტოში მიიღო. ეს რეზოლუცია მას ნებას აძლევს განახორციელოს ყოველგვარი ღონისძიებანი, რაც საჭიროა „შემდგომი აგრესიის“ თავიდან ასაცილებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

სტარნინი წერს, რომ სენატორები არ უნდა გაფითრდნენ, არც უნდა გაოცდნენ და შეშფოთდნენ, რადგან თითონვე გაეცხენა ხელები ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ მოქმედებისათვის. მიმომხილველი მკითხველს შეახსენებს, რომ სულ რამდენიმე ᲗᲕᲔᲚᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ „ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐᲜᲘ“ მისეული ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲨᲘᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ დოლარი „ომის გაფართოებისათვის“.

ᲩᲘᲚᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐ�გᲝ, 4 ივნისი. (საკდესი). ᲩᲘᲚᲘᲡ სენატმა მიიღო გადაწყვეტილება სთხოვოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რაც შეიძლება მალე ტნოს დომინგოს კონსტიტუციური მთავრობა, რომელსაც დროებითია პრეზიდენტი კაამანიო მეთაურობს.

როგორც პრესსა ლატინას სააგენტოს სანტიაგოელი კორესპონდეტი იუწყება, კაამანიოს მთავრობის ცნობა და დომინგოს რესპუბლიკიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა მოითხოვეს დეპუტატებმა მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისაგან, სახალხო მოქმედების ფრონტის წარმომადგენლებმა, ჩილის მშრომელთა ერთიანმა პროფკავშირულმა ცენტრმა, ჩილის ბევრმა საზოგადოებრივმა და ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ.

ᲙᲝᲜᲒᲝ, 1965 ᲬᲚᲘ

ᲔᲓᲒᲐᲠ ᲣᲐᲘᲢᲘ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ №№ 116, 118, 120, 122, 124, 126, 128, 131.

9. ᲡᲘᲛᲑᲐ

ᲡᲐᲜᲐᲛ გაიცნობდე, შენს მეზობლად ციხის საკანში ᲭᲓᲛᲘᲜ ყოველი ᲐᲛᲘᲗᲐᲠᲘᲜ წუკეთხავი მოთხრობაა, სათავგადასავლო ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ. მაკალას კედლებიკით დაუტოვებია ცხოვრების მსუბუქი თუ მძიმე. დიდი თუ მცირე ტკივრები. რაღაცას ხალისით გიამბობს, რაღაცას გიმალავს. შენ მას აკვირდები, ის — შენ.

სენეგალელმა მუსამ თავი მომაწონა თავისი გულღიაობით. იგი კარგახანია კონგოში ცხოვრობს. ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ნაკეთები ოქროს ნივთებით. მილიონერია.. დაუპატიჟებიათ შავ ბაზარზე, კონგოურ ოქროს რომ ყიდულობდა. გულს არ იტეხს: თანამზრახველები გამომიხეიდიან, მათ იციან, ვის და რამდენი მისცენო. დღეების საქმეაო. მუსას' თავისი სახლი მოენატრა, სადაც სამი ცოლი და 27 შვილი დარჩა. გულაჩუყებული მიამბობს, რომ თვითეულ ცოლს მისგან ცხრა-ცხრა ნაშიერი ᲰᲧᲐᲕᲓ. ოღონდ ეს არის, რომ ყველას საბილები რიდი ახსოვს. იგი 62 წლისაა. მას დასცინიან პაკისტანელი სანმოპამედ ᲯᲐᲤᲔᲠᲘ, ინგლისის ქვეშევრდომი აღმოსავლეთ აფრიკიდან, ბურუნდის სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები, ადა ხანის საერთაშორისო კლუბის წევრი, კონგოს მოუზიდავს იგი როგორც კოლონიურ ელდორადოს, და პირველ ხანად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ქალაქ ბუკავუში დააპატიმრეს აკრძალული ფინანსური ოპერაციებისათვის. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ, სადაც მას ᲮᲨᲘრად გამოუძახებენ ხოლმე, რთულ მოლაპარაკებას აწარმოებს ბუკავუში გადაუვანის თაობაზე. სადაც სასამართლოს მოხელეები ნაკლებს იღებენ, ვიდრე დედაქალაქ ლეოპოლდვილში.

ორიოდე დღეს დაპყოფს მაკალაში პორტუგალიელი მეწარმე ან ბელგიელი პლანტატორი: ასეთებს მალე ათავისუფლებენ. მოდიან ისინი და თან მოაქვთ საᲭᲛᲚᲘთია და გამაგრილებელი სასმელებით სავსე კალათები. იღლიაში ამოჩრილი ბალიშები, მოაქვთ ბანქო, რომ გასართობი ᲰᲥᲜᲓᲝᲗ. პატიმართა ძირითადი მასა კი მტკიცედ, დიდი ხნით დამკვიდრებული — ესენი კონგოს მცხოვრებნი არიან. სახეების, ხასიათების, ბედის რა გაუთავებელმა რიგმა ჩამიარა თვალწინ ნელი პატიმრული ნაბიჯებით!

ᲬᲗᲘᲜᲘᲗ ღამეს ჩემთან ცალკე საკანში მოვიდა მაღალი პატიმარი. გაკრა ასანთი, გააშუქა თავისი ოთვიც და გამაშუქა მეც. დაჯდა ცემენტის იატაკზე და მხოლოდ ამის შემდეგ გამეცინა: სენატორი აღმოსავლეთ პროვინციიდან ᲯᲝᲠᲯ ᲒᲠᲔᲜᲤᲔᲚᲘ. 57 წლის პოლიტიკური მოღვაწეს, რომლის სახელი ფართოდ ცნობილია კონგოში, საპყრობილეში მყოფნი პატივისცემით ეკიდებიან. სწორედ ამით აიხსნება, რომ მან შეძლო თავისი და ჩემი ბლოკის დაცვის ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲐ.

— მეორეკერ ვეხვდები რუსს ასეთ მიმე ვითარებაში, — დაიწყო მან. — იტალია-ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ დროს ᲕᲔᲓᲒᲝᲠᲝᲛᲓᲔ ᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ, რომელიც თქვენი ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲘᲗᲐᲠᲘᲐ ᲩᲐᲛᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲗᲐᲠᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ-ᲪᲮᲠᲐ ᲜᲐᲨᲘᲔᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲓ. ᲝᲠᲝᲚᲓᲔ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲓᲔ ᲐᲮᲡᲝᲗᲐ. ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲡᲘᲛᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲡᲘᲛᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲖᲘᲜᲘᲡ

მეგობრობის სიმღერის ზეიმი

ხვალ თბილისში იხსნება ფესტივალი — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“

ენერგიული ეროვნული ხელოვნება

ამიერკავკასიის ნიჭიერ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების გაცხობა ჩემთვის დიდი ზეიმია. როდესაც ეცნობი უძველესი და მდიდარი კულტურის მქონე ამ ხალხთა შემოქმედებას, თვალნათლივ ხედავ მათს შესანიშნავ მიღწევებს კულტურის დარგში და სახარულით თვითონ თვითმყოფ, სიცოცხლისდამამკვიდრებელ ხელოვნებას.

ზეიმის პირველი დღე ბაქოში ვიგებმე. ჯერ კიდევ მოსკოვში მოვისმინე ყარა ყარაევის სიმფონიური გრავიურები „დონ კიხოტი“. ეს ბრწყინვალე ნაწარმოებია.

დიდად ნასიამოვნები დავრჩი აზერბაიჯანის პაჯიბეკოვის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრით. ორკესტრმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნიახის დირიჟორობით შესანიშნავად შეასრულა რთული საკონცერტო პროგრამა. ჩემი აზრით, ეს ორკესტრი ამიროვის შემოქმედებას. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ფ. ამიროვის სიმფონიურმა ციკლებმა და „აზერბაიჯანულმა კაპრიჩიომ“.

მაგრამ ყველაზე უკეთესი, რაც ფესტივალის ბაქოს ეტაპზე საგრძნობი იყო, ეს არის ხალხთა შემოქმედებითი სიახლოვე და მეგობრობა, უერთიერთ სიყვარული და ღრმა პატივისცემა.

როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი მოღელვარებით მოველით საქართველოს ნიჭიერ ხელოვანთა ახალი მიღწევების სახალხო დათვალიერებას. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამჟამადაც დავტკბებით მზიური საქართველოს ნიჭიერ კომპოზიტორთა სიცოცხლით სავსე უმშვენიერესი მუსიკით.

ტ. ხრენიკოვი.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

... „არასოდეს ასე დიდებულად არ ყღერდა, როგორც ფესტივალის დღეებში.

გულითადად მივესალმები

თბილისი ჩემთვის ძვირფასია. ამ შესანიშნავ ქალაქს მიეუძღვენი ჩემი ერთ-ერთი სიმღერა — „ელიკო“. როცა ამ სიმღერაზე ვმეშაობდი, თვალწინ მედგა ქართველი ტანწერწეტა გოგონა მოძრაობის შეელისებური სიკოხტავითა და მოხდენილობით.

მე ქართული მუსიკის დიდი მოყვარული ვარ. ქართული მუსიკის მოძალდებელი მელოდიები ისევე ახლო და მშობლიურია ჩემთვის, როგორც ჩემი მთების სიმღერები. სწორედ ამიტომ დიდი მღელვარებით ველოდები, როცა თბილისის ცის ქვეშ აყღერდება ჩემი ქართველი კოლეგების ახალი ნაწარმოებები.

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ — ეს არა მარტო სიმღერისა და მუსიკის ზეიმია, ეს უწინარეს ყოვლისა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობის ზეიმია, რომელთა უძველესი კულტურა ვითარდებოდა და მდიდრდებოდა ურთიერთ მჭიდრო კონტაქტით და ჩვენს დღეებში არაჩვეულებრივ აყვავებას მიაღწია.

სამი მოძმე რესპუბლიკის მუსიკოსთა შორის შემოქმედებითი დისკუსია და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ფესტივალზე მოხდება, ხელს შეუწყობს ჩვენი ეროვნული მუსიკალური კულტურის შემდგომ აღმავლობას.

გულითადად მივესალმები ჩემს ქართველ მეგობრებს და ვესურვებ ახალ დიდ წარმატებებს!

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფესტივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“, რომელიც ტრადიციული გახდა, არა მარტო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპოზიტორთა შემოქმედების დათვალიერებაა, არამედ შესანიშნავი სკოლაც არის, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა შემოქმედებითს ზრდას. ამ სკოლაში არ არიან მასწავლებლები და მოსწავლეები. ჩვენ ერთმანეთისგან ვსწავლობთ და ერთმანეთს ვამდიდრებთ.

მოკლე ხანში ჩვენ დაძაბული შრომა გველის. ერევანში გაიხსნება „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ დამამთავრებელი ეტაპი. შეეცდებით ჩვენს ძვირფას სტუმრებს გავაცნოთ სომხეთის თანამედროვე მუსიკალური კულტურა და ამით ხელი შევუწყოთ მოძმე ერების კულტურათა კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოებას.

ა. ალიბასიანი.

კომპოზიტორი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი.

ძმობის ჰანგები

ახლა თბილისში, და საერთოდ ამიერკავკასიაში სრულფლებიანი ზაფხულია. ჩვენს ფესტივალს კი, რომლის პირველი ეტაპიც გუშინ დამთავრდა ბაქოში და ხვალ გაგრძელდება თბილისში, „მუსიკალური გაზაფხული“ ჰქვია. რასაკვირველია, სახელსა და დროს შორის მცირეოდენი შეუსაბამობა დაგვიანების ბრალი როდია. ფესტივალის სახელწოდება სიმბოლურად იმაზე მიუთითებს, რომ ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა კომპოზიტორებისა და მუსიკოს შემსრულებლების დიდ ოჯახში ნამდვილი შემოქმედებითი გაზაფხულია. ეს ფესტივალი კი, რომელიც შემთხვევითი მოვლენა არ არის და 1958 წლის პირველი ფესტივალის ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს, მოწოდებულია ჩვენი მუსიკის გაზაფხულის სუნთქვა აგრძნობინოს ხალხს, მშრომელ ადამიანებს.

ფაქტიურად ამ ფესტივალის თბილისის ეტაპი იქნება ქართველ კომპოზიტორთა შვიდი წლის მთავარი მოსავლის, ჩვენი მუსიკალური საშემსრულებლო ხელოვნების დათვალიერება და შეფასება. განვლილი შვიდი წლის მანძილზე კი ქართული მუსიკალური კულტურა მრავალი საყოველდაოდ ნაწარმოებით გამდიდრდა. მინდა სასიამოვნო და სასიხარულო ფაქტად აღვნიშნო უკანასკნელ წლებში შემოქმედებითს სარბიელზე ნიჭიერი, სამიდო და საუკეთესო მომავლის ახალგაზრდობის გამოსვლა.

ჩვენ ბევრი შესანიშნავი მუსიკოს-შემსრულებელი გვყავს, რომლებიც ამ ბოლო წლებში დაოსტატდნენ და ხელოვნების დიდ გზაზე გამოვიდნენ. მათ სასიხარულო და სამაყო წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე, კონკურსებზე, რითაც ფართო ასპარეზზე გაიტანეს ჩვენი მუსიკალური კულტურის მონაპოვარნი. უნდა დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, მარინე იაშვილი, მარინე მდივანი, ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე, თენგიზ ამირაჯიბი. მათი შემოქმედება ყოველთვის სახელი და პატივი იქნება ჩვენი კულტურისათვის.

როცა საშემსრულებლო ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვთქვათ, რომ ბოლო წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დახმარებით შეიქმნა ახალი ქართული მუსიკალური კოლექტივები. ამ კოლექტივებს ჰყავთ თავიანთი ავტორები, აქვთ თავიანთი რეპერტუარი. ისინი, ეს ახალი კოლექტივები — სიმებიანთა კვარტეტი, კამერული ორკესტრი, კამერული ანსამბლი „ნონეტი“ — კარგ პროპაგანდას გაუწევენ ქართულ მუსიკას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ამჟამინდელი ფესტივალის პროგრამა მდიდარი და მრავალფეროვანია. წარმოდგენილი იქნება მუსიკალური შემოქმედების მრავალი ჟანრი — ოპერები, ბალეტები, სიმფონიები, ორატორიები, კამერული მუსიკა. ქართული მუსიკის ვეტერანთა შემოქმედებას მხარს დაუმშვენებენ ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებნი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ახლა ჩვენ განსაკუთრებით დიდ აუცრადღებას ვუთმობთ ახალგაზრდა ოსტატთა შემოქმედებას. ეს ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი ნიშანია საქართველოს მუსიკალური ცხოვრებისა. ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა მუსიკალური შემოქმედების ყველა ჟანრში გაბედულად მონაწილეობს. სულით და გულით უნდა ვუსურვოთ მათ, რომ მომავზე გაცილებით უკეთესი ნაწარმოებები შექმნან. ამით უფრო გამდიდრდება და გაიზრდება ჩვენი კულტურა.

ამ პატარა საგაზეთო, საზეიმო ხასიათის წერილში საკმაოდ არ მიმაჩნია ჩამოვთვალო ყველა ნაწარმოები, რომლებიც ფესტივალის დღეებში მოვისმენთ. ისინი საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია. და, რაც მთავარია, მათში თქვენ იგრძნობთ თანამედროვეობის მაკისცემას.

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში.

ალ. მაჰავარიანი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ფესტივალის თბილისის ეტაპის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

საუკეთესო სკოლა

დიდად სასიამოვნოდ ვთვლი, რომ თქვენი მუსიკალური გაზაფხულის სტუმარი ვარ. განსაკუთრებით მახარებს, რომ დავესწარი აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტებს. მალე ჩემს სიხარულს გაიზიარებენ ჩემი თანამემამულენი, რომლებიც ინტერესით მოელიან აზერბაიჯანის კულტურის კვირეულს მოლდავეთში.

საერთოდ მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ საუკეთესო სკოლა და ძმობის მუსიკის ზეიმია.

ვ. ზაგორსკი.

მოლდავეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

მუსიკალური გაზაფხულის პირველი დღე

ხვალ, ფესტივალის პირველ დღეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმოდგენილი იქნება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ **შალვა მშველიძის** ოპერა **„დიდოსტატის მარჯვენა“.**

კამერული მუსიკის მოყვარულებს შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შეეძლათ დაესწრონ კონცერტს, რომელშიც მოსაწვეულობენ ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ჯანსუღ კახიძის** ხელმძღვანელობით, კომპოზიტორთა კავშირის კამერული ანსამბლი „ნონეტი“, ფილარმონიის კამერული ორკესტრი **გივი აზმაიფარაშვილის** დირიჟორობით და სხვ.

● ფესტივალიდან ფესტივალამდე

სიბრძნე მუსიკისა

ფესტივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ წელს მეორედ ეწყობა. პირველი 1958 წელს ჩატარდა. გასული შვიდი წელი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ქართული მუსიკის ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ჩვენმა კომპოზიტორებმა, შემსრულებლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მუსიკალური ხელოვნების ყველა ჟანრში შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენს ნაწარმოებები, ამ ბოლო წლებში „ოტელოს“ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო ოპერა „მინდიანმა“. თაქთაქიშვილის ოპერის სახით ქართულ მუსიკას შეეძინა მაღალმხატვრული ნაწარმოები დასვენილი დრამატურგიით, საინტერესო მუსიკალური ენითა და ფორმით.

ამას წინათ ჩვენი მსმენელები გაეცნენ კომპოზიტორ ალექსანდრე მაჟარიშვილის ახალ ოპერას — „ოიდიპოს მეფეს“, რომელიც საკონცერტო შესრულებით დაიდგა. ალექსანდრე მაჟარიშვილი ერთ-ერთი აქტიურად მომუშავე კომპოზიტორია, რომელმაც მრავალი ნაწარმოები შექმნა. თავის დროზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მისმა საფორტეპიანო ტრიომ, კანტატამ „ჩემი სამშობლოს სიმღერები“, ოპერტამ „აღლუმმა“. თბილისის ოპერის თეატრში იდგმებოდა კომიკური ოპერა „მარინეტა“. მარშან ჩვენ გავეცანით კომპოზიტორის მეორე სიმფონიას. მიძღვნილს ჩვენი თანამედროვეობისადმი.

კარგად ცნობილია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართული მუსიკის მიღწევები მეტწილად ინსტრუმენტული მუსიკის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

დროთა განმავლობაში ინსტრუმენტულ მუსიკაში მძლავრ ნაკადად შემოიჭრა ქართული ხალხური მუსიკის თავისებურებანი, ფორმები და აზროვნების პრინციპები. ყველაზე ნათლად ეს გამოვლინდა ანდრია ბალანჩივაძის პირველ სიმფონიაში, რომლის ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი კულტურის განვითარებისათვის სწორედ ამაში მდგომარეობს.

1959 წელს შესრულდა ანდრია ბალანჩივაძის მეორე სიმფონია, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

მეორე სიმფონიაში ავტორი მოგვითხრობს ჩვენი თანამედროვეობის შესახებ. სიმფონია გვიზიდავს ჟანრულ განზოგადებათა მრავალფეროვნებით, რაც, საერთოდ, ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებაა: მის მონუმენტურ ნაწარმოებებში ცხოვრება მთელი თავისი ნაირფეროვნებით წარმოგვიდგება. ამ ნაწარმოების ეროვნული საფეხეი მკვეთრად არის გამოვლენილი. იგი მჟღაღნდება მუსიკალური ენის თავისებურებებში.

დიდი მიღწევები აღინიშნა უკანასკნელ პერიოდში ქართულ კამერულ ინსტრუმენტულ მუსიკაშიც. ჩვენმა კომპოზიტორებმა ბევრი პიესა შექმნეს სოლო ინსტრუმენტებისათვის, ანსამბლებისათვის, რომლებიც ძიებათა სითამამე იგრძნობა. ძნელია დავასახელოთ ქართველი კომპოზიტორი, რომელიც ამ ჟანრში არ მუშაობდეს. მარტო კონკურსების მიხედვით რომ ვიმსჯელოთო, ყოველ წელიწადს მრავალი ათეული ნაწარმოები ემატება ჩვენი პიანისტების, ინსტრუმენტალისტების რეპერტუარს.

კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკაში დიდი ნაყოფიერებით მუშაობს ამ ჟანრის აღიარებული ოსტატი სულხან ცინცაძე.

სწორედ სულხან ცინცაძემ დაუმკვიდრა ეროვნულ საკვარტეტო მუსიკას თავლსაჩინო ადგილი საბჭოთა მუსიკაში. მისი ნაწარმოებები სრულდება საზღვარგარეთაც, ხოლო მე-5 კვარტეტმა 1963 წელს პარიზში იუნესკოს კონკურსში „კომპოზიტორის ტრიბუნა“ დიდი მოწონება დაიმსახურა. სულხან ცინცაძის მუსიკაში მკაფიოდ აისახა საქართველოს ბუნება და ყოფა, სიმღერისა და ცეკვის პოეზია, ჟანრული სტიქია.

ცინცაძის შემოქმედებითს ინდივიდუალობას ახასიათებს ყოფითი ჟანრების ფართო ხედვა. ეს განსაზღვრავს მისი მუსიკის ჭეშმარიტად მიწიერ, დემოკრატიულ ბუნებას. ცინცაძე არასდეს არ ღალატობს თავის ინდივიდუალობას. საერთოდ კი მის მუსიკაში გამომჟღავნებლის დიდი ფანტაზია იგრძნობა, მაგრამ ყველაფერი ექვემდებარება მნიშვნელოვანი მხატვრული შინაარსის გადმოცემას. იგი მშვენივრად გრძნობს ჩვენი დროის პულსს, თანამედროვეობის მძაფრ რიტმს.

ოთარ გორდელის „ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტუტებს მტკვარი“ 1961 წელს შესრულდა. ოთარ გორდელის მუსიკას ახასიათებს ნათელი განწყობილებები, თავდაჭერილობა, კოლორიტული ფერადოვნება. ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავის ნაწარმოებებში არაერთგზის მიმართა ჩვენი თანამედროვეობის თემას. საფორტეპიანო კონცერტი, კვინტეტი, კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის — მისი შემოქმედებითი განვითარების საფეხურებია, რომლებიც გვიზიდავენ ავტორის პროფესიული კულტურით. ამ ნაწარმოებებში ავტორი ავითარებს ქართული საბჭოთა მუსიკის ტრადიციებს, დგას ხალხური მუსიკის მყარ ნიადაგზე.

პოემაში „რაზე ბუტუტებს მტკვარი“ კომპოზიტორმა სცადა გამოეხატა ქართველი ხალხის წარსული და აწმყო.

საყოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი წარმატება, რომელიც ქართულმა ბალეტმა მოიპოვა. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება საქართველოში 30-ოდე წელიწადს ითვლის, მაგრამ ეს პერიოდი აღინიშნა მთელი რიგი საინტერესო მოვლენებით. ამ ბოლო წლებშიც ამ ჟანრის მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები შეიქმნა: სულხან ცინცაძის „დემონი“, ანდრია ბალანჩივაძის „მწირი“ და ბიძინა კვირნაძის „ქორეოგრაფიული ნოველები“. სამივე ბალეტი სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ნაწარმოებია, სამივე სხვადასხვა მუსიკალური სტილის ნიმუშია.

ანდრია ბალანჩივაძე ქართული საბალეტო მუსიკის ფუძემდებელია. მისი „მთების გულით“ წყდება ამ ჟანრის ისტორია საქართველოში. „მთების გულის“ დადგმიდან თითქმის 30 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს საბალეტო ხელოვნებაშიც, მაგრამ „მთების გულში“ გამოვლენილი შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული გამომსახველი და თვითმყოფადი საცეკვაო ფოლკლორის ნიადაგზე აღმოცენდა, დღესაც მთელი ქართული საბალეტო ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს და, რასაკვირველია, თვით კომპოზიტორის ბოლო ნაშუშვრის „მწირის“ საფუძველსაც.

ქართულ მუსიკაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს — ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, გრიგოლ კილაძის სიმფონიებს, ალექსი მაჭავარიანის სიმფონიურ პოემას „გმირის სიკვდილზე“, ორატორიას „ჩემ. სამშობლოს დღე“, შალვა მშველიძის მონუმენტურ ეპოპეას ორატორია „კავკასიონს“, მთელ რიგ სხვა ოპერებსა და საბალეტო ნაწარმოებებს.

ქართველ კომპოზიტორთა ომის თემაზე დაწერილ საუკეთესო ქმნილებებში ოსტატურად გახსნილია ხალხის სახე, მისი გმირული საქმეები. ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებების ავტორთა წინაშე დგება რთული ამოცანა — გვიჩვენონ ჩვენი გამარჯვების ისტორიული ფესვები, ის, რაც ჩვეხ ხალხს აღაფრთოვანებდა ბრძოლაში და წინააღმდეგობის ძალას უთავეცდა.

ჩვენი ხელოვნების უკეთილშობილესი მიზანია მოუთხრაოს ხალხს ამ გამარჯვების სიდიადეზე, ჩვენი ხალხის ერთიანობაზე, კვლავ და კვლავ გააცანოს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთება.

ასეთ კეთილშობილურ მიზანს ისახავს ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „ჩაუქრობელი კერა“, რომელიც კომპოზიტორმა სიმონ ჩიქოვანის ლექსების მიხედვით შექმნა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული მუსიკის სარბიელზე გამოვიდა ახალი შემოქმედებითი თაობა, რომელმაც მუსიკის სხვადასხვა ჟანრში ბევრი ახალი და საინტერეკო სიტყვა თქვა. ამ წლებში შემოქმედებით სიმღერეფს მიაღწიეს ბიძინა კვირნაძემ და სულხან ნასიდემ, ოთარ გორდელმა და ნოდარ მამისაშვილმა, რომელთა ახალ ნაწარმოებებს დღეს კიდევ მეტი ინტერესით მოველით. განსაკუთრებით სასიხარულოა უფრო ახალგაზრდების ვაჟა ფაჩარაშვილის, ნოდარ გაბუნიას, გია ყანჩელის, რამაზ ქარუხნიშვილის, ნუგზარ ვაშაძის წარმატება.



ამ კომპოზიტორთა ნაწარმოებები უკვე გამოჩნდნენ საკაკვშირო ასპარეზზე. მათ მრავალი მაღალი ჯილდოც დაიმსახურეს. ჩვენი კომპოზიტორული ახალგაზრდობა შესანიშნავ ოსტატებთან იზრდება.

საინტერესოა, რომ ჩვენმა ახალგაზრდა კომპოზიტორებმა დღესდღეობით თავისებური „ახალგაზრდული ნაკადიც“ კი შექმნეს ჩვენს კულტურაში. და მათი ბედნიერება ის არის, რომ მათი ტალანტური ენთუზიაზმი და სიახლის გრძნობა საყოველთაო მხარდაჭერას პოულობს.

შვიდი წელი არცთუ მცირე დროა. ამ ხნის მანძილზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული მუსიკალური კულტურა მნიშვნელოვნად წავიდა წინ და მრავალი საინტერესო ნაწარმოებით გამდიდრდა. ცხადია, ამ მცირე საგაზეთო წერილში ყოველად შეუძლებელი იყო მათი ყოველმხრივი და საფუძვლიანი ანალიზი. ჩვენ მხოლოდ მოკლე მიმოხილვით დავკმაყოფილდით. მიუხედავად ამისა, ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების წარმატებები მაინც თვალსაჩინოდ ჩანს.

გ. ორჯონიკიძე.

სურათებზე: მარცხნივ — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ თბილისის ეტაპის მონაწილე კომპოზიტორთა და მუსიკოს-შემსრულებელთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ — ნოდარ მამისაშვილი, ნუგზარ ვაშაძე, ალექსი თორაძე, ფელიქს ლლონტი, ჯანსუღ კახიძე, რევაზ გაბიჩვაძე, როიალთან — სულხან ნასიძე; მარჯვნივ — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ყარა ყარაევი ესაუბრება ფესტივალის ბაქოს ეტაპის მონაწილეებს და ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს. მარცხნიდან მარჯვნივ — ი. პარიკი, ი. დვორჟაჩეკი (ჩეხოსლოვაკია), ყარა ყარაევი, ე. მახმუდოვი (აზერბაიჯანი), ზ. მიკულა (ჩეხოსლოვაკია) და ვ. ადიგეზალოვი (აზერბაიჯანი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა („კომუნისტი“) და ი. ხალილოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ტრაღიციული ღღესასწაული

ყოველი ჩვენი მუსიკალური ფესტივალი ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხთა ეროვნული ხელოვნების დათვალიერებაა და ამასთანავე მათ შორის ურყევი მეგობრობის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს.

ფესტივალის ბაქოს ეტაპის წარმატებაზე დაე ჩვენმა მეგობრებმა გამოთქვან თავიანთი აზრი. მე კი ვეტყოდი, რომ ესოდენ დიდი სიხარული კარგახანია არ მეგვარძენია. მუსიკა, სიმღერა, ღიმილი, ყვავილები და ფესტივალისადმი ხალხის უართო ფენების უსაზღვრო ინტერესი. რაც ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში, ყველაზე ძვირფასი საჩუქარია კომპოზიტორისათვის.

ფესტივალის დღეებში გამოვლინდა მტკიცედ სასიხარულო ფაქტი. მუსიკალური ხელოვნების სარბიელზე გამოჩნდა მზარდი ახალგაზრდობა — კომპოზიტორები, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები, ახალგაზრდები, რომლებიც ოპერისა და ბალეტის სცენაზე საუკეთესოდ განასახიერებენ კომპოზიტორთა ჩანაფიქრს, ეს ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა ხელოვნების მძლავრ აღმავლობას, მის ბრწყინვალე მომავალს.

ხვალ ფესტივალის ჰანგები საქართველოს მზის ქვეშ აჟღერდება. ამ დღეებში აზერბაიჯანის მუსიკოსების გული თქვენთან იქნება, ძვირფასო მეგობრებო.

ესარგებლობ რა შემთხვევით, მინდა საუკეთესო სურვილები გადავცე საქართველოს მუსიკოსებს მათი კოლეგებისაგან — აზერბაიჯანის მუსიკოსებისაგან.

ყარა ყარაევი.

კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი. ფესტივალის ბაქოს ეტაპის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

ლეგენდარული გმირი

ნ. ა. შჩორსის დაბადების 70 წლისთავი

ოქმოცდა ექვსი წლის წინათ, 1919 წლის 30 აგვისტს, საბრძოლო პოსტზე დაიღუპა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი, მოძმე უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე შჩორსი. იგი იყო ბოლშევიკური პარტიის დიადი პრინციპების ერთგული მოკავშირე და ხამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლების კეთილშობილი რაინდი.

ნიკოლოზ შჩორსი დაიბადა 1895 წლის 3 ივნისს ჩერნიგოვის გუბერნიის გოროდნიანსკის მაზრის სადგურ სნოვსკის სახოლქოლმავლო დეპოს მემანქანის ოჯახში. ბავშვობა-ყმაწვილობა განათლება მიიღო სნოვსკის რკინიგზის სასწავლებელში.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნ. შჩორსი კიევის სამხედრო-საფერშლო სკოლაში სწავლისას მონაწილეობდა რევოლუციურ მუშაობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი იმყოფებოდა არმიაში პრაპორშჩიკის წოდებით. 1918 წლის თებერვალში ფეხში დაჭრილი შჩორსი ფრონტიდან ბრუნდება თავის მშობლიურ მხარეში. ამ დროს იგი უკვე ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო, რომელთანაც კავშირი ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა დამყარებული.

1918 წლის თებერვალში გერმანელი დამპყრობლები შემოიჭრნენ უკრაინაში და დაიწყეს მისი მიწაწყლის ოკუპაცია. ვერაგი მტრის ურდოები ცეცხლითა და მახვილითა მოედვნენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს, დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, უმოწყალო ულტა და ანტრად ავდება.

საბჭოთა ქვეყნისათვის ამ მრისხანე ეამს პარტიული კომიტეტის დავალებით შჩორსმა მოაწყო პარტიზანული რაზმი გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. შჩორსის პარტიზანები გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ ვერაგი მტრის ურდოებს, არც დღისით, არც ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ მათ.

რაც დრო გადიოდა, ნ. შჩორსი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ საჭირო იყო პარტიზანთა რაზმების გაერთიანება საერთო სარდლობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ახალგაზრდა ბოლშევიკ მეთაურს ეს აზრი უფრო განუმტკიცდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩავიდა და ლენინს შეხვდა. შჩორსმა ლენინისაგან მიიღო მითითებანი, თუ როგორ ეწარმოებინა შემდგომი ბრძოლები უკრაინაში. ამ დღიდან იგი ბევრს მუშაობდა და ფიქრობდა პარტიზანული რაზმებისაგან წითელი არმიის რეგულარული ნაწილების შექმნაზე.

აღმოსავლეთის ფრონტზე ხანმოკლე ყოფნის შემდეგ ნ. შჩორსი 1918 წლის შემოდგომაზე კვლავ დაბრუნდა უკრაინაში. მან ნეიტრალურ ზონაში, რომელიც ჰყოფდა ოკუპირებულ უკრაინას საბჭოთა რუსეთისაგან, დაიწყო წითელი არმიის რეგულარული ნაწილების შექმნა. ეს იყო უნენის რაიონში, სადაც შჩორსთან ჯგუფებად და ცალკეულად მიდიოდნენ ჩერნიგოვშჩინის, პოლტავშჩინისა და კიევშჩინის პარტიზანები უკრაინის პირველ საბჭოთა პოლკში გასაერთიანებლად.

შჩორსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მებრძოლებში უშიშრობის, გმირობისა და მტრისადმი მრისხანე სიძულვილის თვისებების გამომუშავებას, ბრძოლის მგზნებარე ხელისკვეთებით აღგზნებული ახალგაზრდა მეთაური ყოველ წუთს ელოდა ბრძანებას საძულველი მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ ეს ბრძანება ჯერ არ ჩანდა. როგორც შემდეგში გამოირკვა, სინამდვილეში იყო ასეთი ბრძანება.

სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით ადრევე მისცა დირექტივა რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დაეწყო შეტევა უკრაინაში აჯანყებული უკრაინელი მუშებისა და გლეხებისათვის დასახმარებლად. მაგრამ მოღალატე ტროცკი უგულებელყოფდა ლენინის დირექტივას, არ ასრულებდა მას.

მტრის ეს ბოროტი განზრახვა დაუყოვნებლივ იქნა აღკვეთილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლენინის კატეგორიული მოთხოვნით შეიცვალა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო და აჯანყებულ უკრაინელთა დასახმარებლად ცარიცინის დაცვის მონაწილეთა ჯგუფი გაგზავნა.

ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით შჩორსის ბრიგადა შეტევაზე გადავიდა ოკუპანტებისაგან კიევის გასათავისუფლებლად. 1919 წლის 5 თებერვალს შჩორსელებმა კიევი აიღეს. შჩორსი დაინიშნა ქალაქის კომენდანტად და დაჯილდოებული იქნა ოქროს საპატიო იარაღით. რამდენიმე ხნის შემდეგ წითელი პოლკებისაგან შეიქმნა უკრაინის 1-ლი დივიზია, რომელიც შემდეგ (1919 წლის აგვისტო) მუშურ-გლეხური წითელი არმიის 44-მსროლელ დივიზიად გარდაიქმნა. ეს დივიზია შჩორსის სარდლობით ულმობლად ანადგურებდა პეტლიურას ჯარებს ფასტოვთან, ბერდიჩევთან, ჟმერინკასთან და ვინიცასთან.

ნ. შჩორსი

1919 წლის ივნისში უკრაინის 1-ლი დივიზიის ნაწილებმა ფასტოვიდან დაარტყეს პეტლიურას შემტევ ჯარებს და გაანადგურეს ისინი პოსტოროგოსთან. შჩორსის დივიზიამ მტერთან ცხარე ბრძოლებში ხელი იგდო ნოვოგრად-ვოლინსკი, დუბნო, როვნო და გავიდა გალიციის საზღვრებთან.

როგორც ბოლშევიკ-ორგანიზატორი და მებრძოლი მეთაური, ნ. შჩორსი გამორჩეოდა ურყევი ნებისყოფით, მიზნის სიცხადით და განსაცვიფრებელი გმირობით. შჩორსს მგზნებარედ უყვარდა თავისი სამშობლო და უკრაინის მშრომელი ხალხი. მებრძოლებსაც დიდად უყვარდათ თავიანთი მეთაური.

მიუხედავად იმისა, რომ შჩორსი 23 წლისა იყო, მას მეომრები „ჩვენს ძია მიკოლას“, „ჩვენს მამა მიკოლა შჩორსს“ ეძახდნენ. შჩორსმა მასების ასეთი პატივისცემა კანონიერად დაიმსახურა. მას იმ ხანებში არა მარტო წითელი არმიის მეთაურის როლის შესრულება უხდებოდა, ამავე დროს მტრისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორიც იყო. შჩორსი ყველაფრით იყო დაინტერესებული: ამოწმებდა რეკომენდის შემადგენლობას, ეხმარებოდა მათ მუშაობის მოწესრიგებაში, დაუღალავად ზრუნავდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

1919 წლის აგვისტოში უკრაინის ფრონტზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. სამხრეთიდან უტევდნენ დენიკინის ურდოები, დასავლეთიდან მოიწევდნენ ინტერვენტთა ჯარები. ამავე დროს შეტევაზე გადმოვიდნენ პეტლიურას ბანდებიც. შჩორსმა მიიღო დავალება რადაც უნდა დამჭირეიყო შეენარჩუნებინა სტრ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲐᲯᲭᲩᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ რედაქციებსა და სხვა ორგანიზაციების მიერ კალათბურთის ჩემპიონატისათვის დაწესებულ პრიზებს შორის არის პრიზი, რომელიც გუნდს გადაეცემა ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ მატჩისათვის.

გუშინდელი მატჩი საბერძნეთისა და ესპანეთის გუნდებს შორის ამ პრიზით დაჯილდოების ღირსი იყო.

შეხვედრა პრინციპულ ხასიათს ატარებდა, რადგან გრძელდებოდა ბრძოლა მესამე ადგილისათვის ᲩᲕᲔᲓᲠᲣᲨᲘ, რომლის პრეტენდენტებია სამი გუნდი — საბერძნეთის, ბულგარეთისა და ესპანეთის გუნდები. მეტოქეებს დაუფერფვისთვის დრო არ დაუხარჯავთ, მატჩმა თამაშის დაწყების პირველივე წუთებიდან საბრძოლო ხასიათი მიიღო. ორივე გუნდმა აიღო თავბრუდამხვევი ტემპი, გაბედულად მიდიოდა გამწვავებაზე და არ ეშინოდა რისკისა. თვითეული გუნდს აქვს თავისი ხერხები, რომლებითაც უნარიანად ხარგებლობს. ესპანეთის გუნდი ერთხანს თავის მეტოქეზე სწრაფად თამაშობდა. მას აგრეთვე საუკეთესო ხნაპერები ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ეს მას შეხალენლობას აძლევს ძირითადად მიმართოს სწრაფ გარღვევას, ხოლო პოზიციური თამაშის დროს კალათში ბურთები სტაყორცნოს სხვადასხვა დისტანციიდან.

საბერძნეთის გუნდი უარს არ ამბობს სწრაფ გარღვევაზე და ცდილობს გამოიყენოს თავისი უპირატესობა სიმაღლის მხრივ პოზიციურ თამაშში. ცენტრალურ თავდამსხმელს გიორგი ტრონძოსს (სიმაღლე 215 სანტიმეტრი), რომელიც არაერთხელ მოგვიხსენებია, გუნდი იყენებდა შემოქმედებითად და* გონივრულად. იგი ან თვითონ მოქმედებდა აქტიურად ფარქვეშ და ამთავრებდა პარტნიორების მიერ დაწყებულ იერიშებს, ან იპყრობდა

ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡ მოსკოვსა და თბილისში გაიმართება კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრების უკანასკნელი მატჩები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ ფინალისტები, მომდევნო ადგილების პრეტენდენტები. თბილისის ᲯᲒᲣᲤᲨᲘ შეხვედრათა განრიგი ასეთია:

11.00 ს. — ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ — ᲒᲬᲠ.
12.30 ს. — ᲨᲕᲔᲪᲘᲐ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.
14.00 ს. — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ.
15.30 ს. — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ — ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	გ.	წ.	ქ.
სსრ კავშირი	6	6	0	12
ჩეხოსლოვაკია	6	4	2	10
იტალია	6	4	2	10
ისრაელი	6	3	3	9
ფინეთი	6	3	3	9
რუმინეთი	6	2	4	8
გდრ	6	2	4	8
უნგრეთი	6	0	6	6

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	გ.	წ.	ქ.
იუგოსლავია	6	6	0	12
პოლონეთი	6	6	0	12
საბერძნეთი	6	4	2	10
ბულგარეთი	6	3	3	9
ესპანეთი	6	3	3	9
საფრანგეთი	6	1	5	7
გფრ	6	1	5	7
შვეიცია	6	0	6	6

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲘᲪᲔᲠᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ევროპის პირველობაზე როგორც გუნდებისათვის, ისე კალათბურთელებისათვის დაწესებულია არაერთი პრიზი. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ჯილდო საუკეთესო სნაიპერისათვის.

ხუთი ტურის შემდეგ ამ პრიზისათვის ბრძოლაში დაწინაურდა რ. კორაჩი (იუგოსლავია) — 112 ქულა. ე. როდრიგესს (ესპანეთი) 89 ქულა აქვს, ე. ჰანსონს (შვეიცია) — 84 ქულა, გ. ტრონძოსს (საბერძნეთი) — 84 ქულა, მ. ლოპატკას (პოლონეთი) — 76 ქულა.

რევანში აღებულია

საინტერესო მატჩი გაიმართა გუშინ სპორტის სასახლეში — ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ გუნდი შეხვდა მწვრთნელებისა და მსაჯების გაერთიანებულ ნაკრებს. შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა „პრაქტიკოსთა“ მხარეზე იყო. მათ ტაიმი მოიგეს 30:25. შესვენების შემდეგ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ გააქტიურდნენ და გაიმარჯვეს 55:54.

აი რა აზრისა არიან მეტოქეები ამ მატჩზე:

ᲔᲠᲔᲛᲘᲐ (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, „პრაქტიკოსთა“ გუნდის თავი): — ძალიან მინდოდა მოგება. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ძველი ანგარიშები მაქვს, მათთვის გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ თამაში უფრო ძნელია, ვიდრე... გაზეთის ფურცლებზე კრიტიკა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა.

ᲮᲠᲘᲡᲢᲝ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲘ (ბულგარელი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ): — თურქმ მწვრთნელებისა და მსაჯების კრიტიკასას მართალნი ვყოფილვართ. რა ტაქტიკაზე უნდა გვედავონ მწვრთნელები, როცა ამ მატჩში თვითონ ვერ გვაჩვენეს ტაქტიკური ნახაზი. ვილაპარაკოთ მსაჯებზეც. ისინი იმდენჯერ შეცდნენ, რომ უკვე იქნები გვეპარება, კალათბურთის წესები მათ საერთოდ იციან თუ არა... ᲮᲣᲗᲠᲑᲐ იქით იყოს, და როგორც იქნა რევანში ავიღეთ, წინა ჩემპიონატზე მწვრთნელებმა და მსაჯებმა ხომ სასტიკად დაგვამარცხეს.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ევროპის ჩემპიონატზე ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ისე კალათბურთელებისათვის დაწესებულია არაერთი პრიზი. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ჯილდო საუკეთესო სნაიპერისათვის.

ᲮᲣᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ შემდეგ ამ პრიზისათვის ბრძოლაში დაწინაურდა რ. კორაჩი (იუგოსლავია) — 112 ქულა. ე. როდრიგესს (ესპანეთი) 89 ქულა აქვს, ე. ჰანსონს (შვეიცია) — 84 ქულა, გ. ტრონძოსს (საბერძნეთი) — 84 ქულა, მ. ლოპატკას (პოლონეთი) — 76 ქულა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲐᲯᲭᲩᲘ

ᲒᲐᲜᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ 89:80.

ᲮᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ გუნდმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან შეხვედრაში მოიპოვა პირველი გამარჯვება ანგარიშით 74:47 და სასახლის გუმბათის ქვეშ პირველად აფღერდა „მარსელოზის“ მელოდია.

იუგოსლავიის ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა შვეიცარიის გუნდზე ანგარიშით 91:46.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ-ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ მატჩი დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით ანგარიშით 79:63.

დღეს შეჯიბრების უკანასკნელი დღეა. დღევანდელი დღის ცენტრალური მატჩია ლიდერების — იუგოსლავიისა და პოლონეთის შეხვედრა.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდმა მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება, ამ შეხვედრის პრინციპულობა უაღრესად დიდია. საქმე ის არის, რომ შეჯიბრების პირობებით ის გუნდი, რომელიც თბილისს ᲯᲒᲣᲤᲘᲡ პირველ ადგილს მოიპოვებს, ნახევარფინალში ხვდება იმ გუნდს, რომელიც მოსკოვის ᲯᲒᲣᲤᲘᲡ მეორე ადგილზე გამოვა.

Ն. ᲡᲔᲛᲐᲨᲙᲝ,
სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

ᲢᲐᲛᲞᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲙᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔ

ᲢᲐᲛᲞᲔᲠᲔᲡ გადახურული სტადიონი კვლავ დიდი სპორტული პაექრობის არენა ხდება. ამჯერად იგი დათმობილი ექნება მსოფლიოს ჩემპიონატს კლასიკურ ᲭᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ. ეს პირველობა გამოირჩევა მასობრივობით და გუნდების შემადგენლობათა სიძლიერით. ძირითად მეტოქეებად ითვლებიან თურქეთის, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ, სსრ კავშირის, ირანისა და ᲨᲕᲔᲓᲠᲗᲘᲡ. გიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

მეტად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგას სსრ კავშირის ნაკრები გუნდი. ტოკიოს ოლიმპიური ისპარეზობიდან ჩვენმა კლასიკური სტილის მოჭიდაváებმა ᲩᲝᲛ მხოლოდ ერთი ოქროს მედალი ჩამოიტანეს. ცხადია, ᲢᲐᲛᲞᲔᲠᲔᲨᲘ ამ მდგომარეობას გამოსწორება სჭირდება.

ჩვენი ნაკრები ფაქტიურად გაახალგაზრდავებულია. მის შემადგენლობაში არიან: ᲮᲔᲠᲒᲔᲖᲘ ᲠᲘᲑᲐᲚᲙᲘᲜᲘ, ᲝᲛᲐᲠ ᲔᲒᲐᲫᲔ, ᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲔᲕᲘ, ᲒᲔᲜᲓᲐᲓᲘ ᲩᲐᲮᲣᲜᲘᲐᲕᲘ, ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲡᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲝᲜᲣᲐᲚᲘ ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲐᲫᲔ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲐᲜᲘᲡᲘᲛᲝᲕᲘ და ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲜ ᲨᲐᲛᲐᲙᲝᲕᲘ.

ჩემპიონატის მონაწილენი რამდენიმე დღით ადრე ჩავიდნენ ᲢᲐᲛᲞᲔᲠᲔᲨᲘ. დღეს აქ ისინი საზეიმოდ აღმართავენ ალაშს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

☐ ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა, ანგარიშით 2:1.

☐ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ გამართულ სტუდენტ მძღოლსანთა საერთაშორისო ასპარეზობაზე კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ქალთა შორის Ш. პრესმა ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 34 სანტიმეტრზე, ბირთვი კრა 17 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე და პირველი ადგილი დაიკავა.

☐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡᲚᲘ სტაიერი რ. კლარკი უტეხს მსოფლიო რეკორდებს. ლოსანჯელოსში მან 5.000 მეტრი გაირბინა 13 წუთსა და 25,8 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲢᲐᲡᲗᲐᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ პირველი ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ფეხბურთელთა კოლექტივებმა განაახლეს ბრძოლა. გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ და „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡᲗᲐᲜ“ გუნდები. მატჩის შედეგია 3:2. „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ“ სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება კიდევ შვიდი მატჩი. თბილისში ითამაშებენ ადგილობრივი „დინამო“ და ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“, ქუთაისში — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ და მოსკოვის „დინამო“.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ — „ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ფეხბურთელთა კოლექტივს საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

მოსალოდნელი იყო, რომ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ საკუთარ მოედანზე მაინც შეეცდებოდნენ დაკარგულის ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

გუშინ თბილისის „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ მოწინააღმდეგე ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ“ იყო. მატჩი შედგა „დინამოს“ სტადიონზე. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 2:0.

ᲖᲦᲕᲐᲛ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲠᲣᲜᲐ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (საკ.დასი): ᲭᲐᲚᲐᲠᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲘᲐ ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ თავის საიდუმლოებებს, მაგრამ ამ დღეებში მოხერხდა ერთ-ერთი ამ საიდუმლოების ამოხსნა.

ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲘᲡ ფლოტის მაშველმა ხომალდებმა ალმოაჩინეს და ზღვის ფსკერიდან ამოიღეს ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ პირველ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ 1941 ᲬᲚᲘᲡ დაღუპული ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ნავი.

ისინი თექვსმეტნი იყვნენ — მამაცი ახალგაზრდა ვეჟაკეები „ᲛᲐᲚᲘᲝᲢᲘᲙᲐᲖᲔ“, როგორც ეძახდნენ ფლოტში ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲘ ნავ „Ш-81“-ს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მოიტანა ბაზაში მოხსენება იმის შესახებ, რომ ფინეთის ყურეს შესართავში საშიშად მოიყარეს თავი ფაშისტურმა ტრანსპორტებმა. ომის დაწყების ამმავი ეკიპაჟი ზღვაში შეიტყო.

1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲜᲔᲚᲘᲗ ᲗᲠᲛᲘᲡᲝᲗᲐᲜ მეზღვაურებმა იერიში მიიტანეს ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲚᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲘ ნავზე. რამდენიმე წამის შემდეგ ფაშისტურმა ტორპედომ თუ დაჯახებულმა ნაღმმა შეწყვიტა თვით „მალიუტკას“ სიცოცხლე.

გადარჩენილნი — ინჟინერი კაპიტან-ლეიტენანტი ბ. რაკიტინი და პირველი სტატიის ზემდეგი პ. სემოლოვი აფეთქების მომენტში ბოგაზე იყვნენ. სასწაულით გადარჩა უფროსი მატროსი პროკოფიევსკი. რომელსაც ვახტის შემდეგ ერთ-ერთ ნაკვეთურში ეძინა. მან მოახერხა ლუკის გაღება. და შეაკუმშულმა ჰაერმა მეზღვაური ზედაპირზე ამოტყორცნა.



ᲩᲔᲩᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ

ᲐᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲒᲓᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ, თუმცა კვლავ არ წყდება მძაფრი ბრძოლა სითბოსა და სიცივეს შორის. არქტიკა ანგარიშს არ უწევს წლის დროს და ისევ გაგვახსენებს ხოლმე თავს. სამხრეთის ციკლონს ბარენცის ზღვის ᲪᲘᲪᲘᲠᲘ ᲡᲣᲜᲗᲯᲘᲗ კვლავ შემოპყავა თან საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ევროპულ ნაწილზე. ბალტიისპირეთში, ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ღამის საათებში ტემპერატურა ნულზე დაბლა იწევდა. დედაქალაქში სიცივეს თან მოპყავა ძლიერი ელჭექი და კოკისპირული წვიმა, შემდეგ მან აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ გადაინაცვლა, მოიცვა ᲕᲝᲚᲒᲘᲡᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲜᲘ და უფალი, შავი და კასპიის ზღვების სანაპირომდე მიაღწია.

ᲕᲘᲬᲘᲠᲘ, სულ ასიოდე კილომეტრის სიგანის ზოლში იყრიდა თავს ტემპერატურის კონტრასტები, წარმოიშობოდა ციკლონები, ჩნდებოდა გრიგალი. ულიანოვსკის, კუიბიშევის ოლქებში შეიჭრა ქარი, რომლის სისწრაფე წამში 25 მეტრს აღწევდა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც წყალი 20 გრადუსამდე გათბა, ბანაობის სეზონი დაიწყო. ყაზახეთსა და შუა აზიაში მძლავრი ანტიციკლონი დამკვიდრდა: ცაზე პატარა ღრუბელიც არ არის, მზე ჰაერს ათბობს 30-35 გრადუსამდე, ზოგან უფრო ძლიერადაც. ზაფხული დადგა ირკუტსკის ოლქში, იმირბაიკალეთში. დღისით ცხელა, მაგრამ ღამეობით ადამიანმა თბილად უნდა ჩაიცვას, ტემპერატურა უარყოფითიც არის ხოლმე.

ᲔᲚᲕᲘᲡᲐ ზაფხულისა ეწოდოს ამინდს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ყინულით დაფარულია ლენის, იანის, ინდიგირკისა და კოლიმის ქვეშაწყალი. ეს დიდხანს როდი გაგრძელდება. ვერხოიანსკში ტემპერატურა 19 გრადუსამდე ადიოდა. კრასნოიარსკის მხარის ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ კი პირველმა ელჭექმა დაიგრგვინა. ზამთარი უკან არ იხევს ᲩᲣᲙᲩᲩᲐᲖᲔ, სადაც კვლავინდებურად მძვინვარებს ქარბუქი და ძლიერი ქარები. აქ ზღვას მოაქვს სიცივის ტალღები.

ᲔᲠᲗᲘ დასავლეთ ევროპის მცხოვრებლები დაიკვეხნიან ნამდვილ ზაფხულს. მხოლოდ ესპანეთშია სიცხე — 30 გრადუსი. მოღრუბლული და წვიმიანი ამინდია საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ავსტრიასა და იუგოსლავიაში. მილანში, მაგალითად, დღეიადმის განმავლობაში 50 მილიმეტრამდე ნალექები მოვიდა. ბისკაის ყურეში ციკლონი წარმოიშვა. იგი სანაპიროსაკენ მიიწევს.

ᲣᲐᲚᲝᲚᲘᲡ დღეებში საბჭოთა კავშირის ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ჩრდილოეთ ნაწილში მეტწილად ღრუბლიანი ამინდი იქნება ნალექებით, გაძლიერდება ქარი, მოსალოდნელია ტემპერატურა მნიშვნელოვანი რყევა. მოღრუბლულობა აგრეთვე იმატებს ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲘᲡ პირეთში, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐᲨᲘ, გადაივლის ხანმოკლე წვიმები, შემდეგ ტემპერატურა აიწევს. უფრო დათბება ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — დღისით 17-22 გრადუსი, მნიშვნელოვანი ნალექები არ იქნება.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ თბილა: დღისით 22-27 გრადუსია. კვლავ სიცხე და სიმშრალე იქნება ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲗᲘᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ და ᲥᲕᲔᲛᲝ ᲕᲝᲚᲒᲐᲖᲔ. ტემპერატურა დაიწევს შუა ვოლგაზე, შუა და სამხრეთ ურალზე. აცივებენ ნაწილობრივ მოიცავს ყაზახეთს. მაგრამ კარგი, ზაფხულის ამინდი დარჩება ყამირის მხარეში და დასავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილში: დღისით 29-34 გრადუსი სითბო. შუა აზიაში სიცხე იქნება.

ივნისის პირველ დეკადაში ჩვეულებრივზე 1-2 გრადუსით მეტი სითბო იქნება შუა ვოლგისპირეთში, სამხრეთ ურალზე, ყაზახეთში, დასავლეთ ციმბირში. ნორმის ახლოს და რამოდენადმე უფრო დაბალი ტემპერატურა იქნება საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐᲡ და უკრაინაში.

Ა. ᲡᲜᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲘ,
პროგნოზების ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ მეცნიერი თანამშრომელი.

ᲡᲞᲘᲥᲘᲡᲗᲐᲑᲠᲘᲥᲠᲘᲚᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ

△ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ჩემპიონატის ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ „უხუცესი“ მოთამაშეა საბჭოთა კალათბურთელი ᲐᲠᲛᲔᲜᲐᲚ ᲚᲝᲠᲐᲩᲘᲐᲜᲘ. იგი 35 წლისაა. ა. ლორაჩიანი კალათბურთს უკვე კარგა ხანია თამაშობდა, როცა დაიბადა ამ პირველობის ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ახალგაზრდა მოთამაშე ᲞᲐᲜᲓᲝ ᲞᲐᲜᲓᲝᲕᲘ, რომელსაც 18 წელი ჯერ არ შესრულებია.

△ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ მონაწილე კალათბურთელებიდან ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მეტჯერ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ნაკრებში უთამაშია უნგრელ ᲘᲐᲜᲝᲨ ᲑᲔᲜᲪᲔᲖᲔ. მას თავისი ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ სპორტული ღირსება 210-ჯერ დაუცავს.

△ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ჩამოსული სტუმართა შორის 37 უცხოელი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ. აქედან თითქმის მესამედი ესპანელები არიან. მათ კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ — ესპანელ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ დელეგაციის ერთი წევრი განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობს იმიტომ, რომ იგი... ქალია.

ᲕᲘᲜᲪ სპორტის სასახლეში კალათბურთში ევროპის ჩემპიონატს ესწრება, უთოდ შეამჩნევდა, როგორ დიმიტატებიან ხოლმე იქვე, მოედნის გვერდით, გრძელ სკამებზე მსხდომი სათადარიგო კალათბურთელები და მწვრთნელები, თავიანთი გუნდების თამაშს. რომ უყურებენ. მათი განცდა და მღელვარება სავსებით ბუნებრივი და გასაგებია.

მაგრამ განცდაც არის და განცდაც. ალბათ შეგიმჩნევიათ საბერძნეთის გუნდის მწვრთნელი ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲪᲔᲣ. საკუთარი გუნდის გულშემატკივრობისათვის პრიზი რომ დაეწესებინათ, მას უთოდ მატცეუ მოიპოვებდა.

აბა დაკვირდით ზემო ორ სურათს მარცხნივ, თუ რა ძვირად უჯდება მის ნერვებს ბერძნთა ყოველი შეტევა. თამაში დაიძაბა... ამას ადვილად შეამჩნევთ ბერძენი კალათბურთელის ამერიკანოსის სახეზე (ქვემო ორი სურათი მარცხნივ). დიდი იყო მათი გამარჯვების სურვილი, და აბა ისიც... (სურათი მარჯვნივ).

ᲤᲝᲢᲝ Ш. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲘᲡ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

☐ ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „დინამოსა“ და ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲖᲔᲜᲘᲢᲘᲡ“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა, ანგარიშით 2:1.

☐ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ გამართულ სტუდენტ მძღოლსანთა საერთაშორისო ასპარეზობაზე კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ქალთა შორის Ш. პრესმა ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 34 სანტიმეტრზე, ბირთვი კრა 17 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე და პირველი ადგილი დაიკავა.

☐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡᲚᲘ სტაიერი რ. კლარკი უტეხს მსოფლიო რეკორდებს. ლოსანჯელოსში მან 5.000 მეტრი გაირბინა 13 წუთსა და 25,8 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ᲡᲢᲘᲥᲘᲡᲗᲐᲑᲠᲘᲥᲠᲘᲚᲘ

ᲜᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲐ

ᲪᲮᲠᲐ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ. ᲐᲥ თითქმის არ ისმის ავტომანქანების მოძრაობით გამოწვეული ხმაური და იგი საოცრად მყუდროა.

ამ ქუჩის ხუთ ნომერ სახლში ცხოვრობენ მოხუცი პეტსიოხერები ᲪᲝᲚᲥᲛᲐᲠᲘ ნინო და ივანე სტეფანიძეები, ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ დიდი მოტრფიალენი.

მათი სახლი ოღლად მიგვასწავლეს. ეზოში ᲯᲝᲠ ფეხი არ შეგვიდგა, რომ ᲗᲐᲠᲘ-ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ საამო დამთრობელი სურნელება ეიგრძენით.

ბაღიდან ᲗᲘᲗᲘᲡ კაცის გაბზარული ხმა შემოგვესმა და ჩვენი ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲪ იმან მიიქცია. წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები ᲒᲐᲠᲣ შემოხეოდნენ ᲬᲔᲚᲘᲗ ოდნავ მოხრილ მოხუც მებაღეს და ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲐᲗ ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲜᲔ. მოხუცმა რომ დაგვინახა, წუთით მიატოვა ბავშვები და ჩვენსკენ წამოვიდა. არც უკითხავს ვინ ვიყავით, ისე გვგიღო კარი და მოოიმარი სახით ეზოში შეგვიპატიჟა. იქ აღარება „მასპინძელი“ დაგვხვდა. მოხუცი მებაღის მინიატურული ბოტანიკური ბაღის ᲮᲨᲘრი სტუმრები არიან სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვები, პიონერები, სტუდენტები. იგი ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ხალისით ეგებება და მათთვის საინტერესო საკითხებზე ასევე ხალისით უპასუხებს.

ᲐᲘ ახლაც. ჩვენს მისკლამდე ერთი საათით ადრე, ქალაქის ერთ-ერთი დაწესებულების ცნობისმოყვარე თანამშრომლები გაუსტუმრებია მოხუც მასპინძელს.

ივანე სტეფანიძე კვლავ ბავშვებთან მივიდა და დაწყებული საუბარი განაგრძო.

ეს ადგილი, ამბობს მოხუცი, „ᲥᲕითა და ᲝᲠᲝᲜᲘᲗ ᲘᲧᲝ სავსე. მარცხნივ, აი იმ მხარეს, მოხუცი ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ცხოვრობდა, წარმომობით გერმანელები, მაგრამ ქართულსა და რუსულს ᲩᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ლაპარაკობდნენ. ვარდ-ყვავილების რაღაც საარაკო ბაღი ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. შთამომავლობა არ ᲰᲧᲐ